საქართველოს მთავრობის განკარგულება

№209 2018 წლის 26 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ სამთო მოპოვებით სექტორში ტექნიკური დახმარების პროგრამის პირველი ფაზის ფარგლებში პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების მიზნით საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოსათვის 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

2. სსიპ – წიაღის ეროვნულ სააგენტოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ტექნიკური დახმარების ფონდებიდან საკონსულტაციო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით კლიენტების კონტრიბუციის თაობაზე გასაფორმებელი შეთანხმების (შემდგომში – კონტრიბუციის თაობაზე შეთანხმება) პრეამბულის „D"-სა და პირველი პუნქტის შესაბამისად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელდება ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის ღირებულების თანადაფინანსება.

3. კონტრიბუციის თაობაზე შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის აუცილებელი ხარჯებისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისათვის (EBRD) შესაძლოდ წარმოშობილი საფინანსო ვალდებულებების გადახდა განხორციელდეს სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**